მოწყობილობის დანიშნულება

სამზარეულოს კომბაინი განკუთვნილია საკვები პროდუქტების დასამუშავებლად. მოცემული მოწყობილობა აერთიანებს სხვადასხვა სამზარეულოს ხელსაწყოს ფუნქციებს.

უსაფრთხოების ზომები

- მოწყობილობის შეერთებამდე დარწმუნდით, რომ მასზე მითითებული ძაბვა შეესაბამება ლოკალური ელექტროქსელის ძაბვას.
- დარწმუნდით, რომ მოწყობილობის ყველა ელემენტი სათანადოდ არის დამონტაჟებული. მოცემული ხელსაწყო აღჭურვილია სპეციალური დამცავით, რომელიც ხელს უშლის მის ჩართვას რომელიმე ელემენტის არასწორი მონტაჟის შემთხვევაში.
- არასოდეს გამოიყენოთ უცხო საგნები (დანები, სასადილო ხელსაწყოები) პროდუქტების სამზარეულო კომბაინში შესატანად. გამოიყენეთ სპეციალური დამწოლი, რომელიც მოწყობილობას მოყვება მოწყობილობის დანის პირებთან და საცმებთან მუშაობისას. დანები ძალიან ბასრია.
- მოწყობილობის მუშაობისას ზედაპირის ზოგიერთი მონაკვეთი შესაძლოა გაცხელდეს.
- სამზარეულოს კომბაინის თასის ამოღებამდე დარწმუნდით, რომ მოწყობილობა სრულად გაჩერდა.
- დაიცავით მოწყობილობის ტევადობის შეზღუდვები.
- არ გამოიყენოთ მოცემული მოწყობილობა წყლის წყაროების უშუალო სიახლოვეს.
- არასოდეს მოათავსოთ მოწყობილობა წყლის ჭავლის ქვეშ, არ ჩადოთ იგი მთლიანად წყალში და არ გამოიყენოთ ჭურჭლის სარეცხი მანქანა მის გასაწმენდად.
- ნუ განათავსებთ მოწყობილობას და კვების კაბელს გამათბობელ ელემენტებთან, გაზქურის სანთურებთან და ა.შ. ახლოს.
- გამოიყენეთ მხოლოდ ორიგინალი აქსესუარები.
- არ დაქაჩოთ და არ გადააადგილოთ მოწყობილობა კვების კაბელით. არ მოხაროთ და არ დაახვიოთ კაბელი მოწყობილობის გარშემო.
- არ დაუშვათ კვების კაბელის გადაკიდება მაგიდის კიდეზე ან მისი შეხება ცხელ ზედაპირებთან.
- მუშაობის პროცესში არ დატოვოთ მოწყობილობა უმეთვალყურეოდ. არ გამოიყენოთ გარე ტაიმერები და დისტანციური მართვის სისტემები.
- ყოველთვის გამორთეთ ხელსაწყო გამოყენების შემდეგ და გაწმენდის დროს.
- დაიცავით ხელსაწყო ბასრი საგნების, აბრაზიული შემადგენლობებისა და სხვა იმ ობიექტების ზემოქმედებისგან, რომლებმაც შეიძლება ის დააზიანონ.
- ელექტროშოკის თავიდან ასაცილებლად, არ დაშალოთ მოწყობილობა დამოუკიდებლად. მიმართეთ ავტორიზებულ სერვის-ცენტრს.
- არ გამოიყენოთ მოწყობილობა დავარდნის შემდეგ, აგრეთვე თავად ხელსაწყოს ან კვების კაბელის ხილული დაზიანების შემთხვევაში. მიმართეთ ავტორიზებულ სერვის-ცენტრს.
- მოწყობილობა არ არის განკუთვნილი კომერციული მიზნებისთვის გამოსაყენებლად.
- მოწყობილობა არ არის განკუთვნილი ბავშვებისათვის, აგრეთვე შეზღუდული ფიზიკური, სენსორული ან გონებრივი შესაძლებლობების მქონე პირთათვის გამოსაყენებლად, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მათზე ხორციელდება კონტროლი მათი უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირების მიერ. არ მისცეთ ბავშვებს მოწყობილობით თამაშის უფლება.